ხელშეკრულება № 01–05/07
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № CON190000601)

ქ. თბილისი **„28“ „იანვარი“ 2020 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულის საჯარო სკოლა შემდგომში – „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ბადრი გელაძის სახით და, მეორეს მხრივ ,,შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი'', შემდგომში – „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი შპს ,,სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი''-ს მინდობილი პირის დავით თეთვაძის (პ/ნ 01025006491, თანახმად 13.12.2019-ის მინდობილობისა , ინდ# 32490034809019 , რეგ.# 191507995) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 14 დეკემბრის №14 ბრძანებით დამტკიცებული ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2020 წლის განმავლობაში ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 დეკემბრის №2512 განკარგულებისა და საწვავის 2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე და მასში განსაზღვრული პირობების შესაბამისად, შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, თანდართული ყველა დოკუმენტით და დოკუმენტაციით, რომლზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა (შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა გამრავლებული 1 (ერთი) ლიტრი საწვავის სავარაუდო ფასზე), რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით ან/და სატენდერო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

1.4 შემსყიდველი - ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს შესყიდვას ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების მიხედვით.

1.5 „მიმწოდებელი“ - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პირობების მიხედვით;

1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ევრორეგულარის“ მარკის საწვავი - არანაკლებ 92 ოქტანობის ბენზინი.

1.8 ავტორიზებული ავტომანქანა – შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომელიც უნდა აღიჭურვოს „აგაი“ სისტემის კომპონენტებით.

1.9 ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა (შემდგომში – აგაი სისტემა) – სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგად მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე "ევრორეგულარის" ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

1.10 სატენდერო კომისია - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 04 დეკემბრის N2512 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია;

1.11 სატენდერო დოკუმენტაცია – „ევრორეგულარის“ მარკის საწვავის 2020 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON190000601) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, შემსყიდველის მიერ „ევრორეგულარის“ მარკის საწვავის (ერთჯერადად ან ეტაპობრივად, შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე, (შემდგომში - საწვავი, რომელიც აკმაყოფილებს "ევრორეგულარის" მარკის საწვავის 2020 წლის კონსოლიდირებული სატენდერო დოკუმენტაციითა და დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებს) შესყიდვა. სსიპ სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული CON190000601 სატენდერო დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებითა და ღირებულებით.

2.2 შესყიდვის ობიექტია „ევრორეგულარის“ მარკის საწვავი. საორიენტაციო რაოდენობაა 135,74 ლიტრი.

3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 300 ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და საწვავის შენახვის ხარჯებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, ფასის განსაზღვრა და სხვა პირობები

4.1. მიმწოდებებლი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულებასთან.

4.2. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში, ასეულობის სიზუსტით, (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები და საწარმოს მოგება) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z = (\frac{C_{bid} \cdot 1000}{D \cdot 1,18} - A_{nov}) \cdot \frac{1}{R_{nov}} - P_{nov}$$

რომელიც:

C_{bid} - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ „ევრორეგულარი“ მარკის საწვავზე (ლარში);

R_{nov} - აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2019 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული;

D - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი „ევრორეგულარი“ მარკის საწვავის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3);

P_{nov} - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2019 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში - პლაცის ნიშნული);

A_{nov} - 2019 წლის ნოემბრის თვეში ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობა ლარებში.

Z და D სიდიდეები უცვლელია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.3 მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის 1 ლიტრი „ევრორეგულარი“ მარკის საწვავის ნომინალური ღირებულების განსაზღვრას თვის პირველივე სამუშაო დღეს (შემდგომში - ნომინალური ღირებულება - Cnom) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C_{nom} = \frac{((P+Z)R+A) \cdot 1,18 \cdot D}{1000}$$

სადაც, P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს, A - მიმდინარე თვისთვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში, 18% - დღგ, ხოლო Z და D – 4.2. პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებულის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.4. ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასზე (P) ან/და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი - C1).

4.5. 2020 წლის იანვრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი ევრორეგულარის საბოლოო ფასის (Cbid) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი გამოითვლება 1 ლიტრი ევრორეგულარის ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულის, აქციზისა და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ სამუშაო დღეს, განსაზღვრავს 1 ლიტრი ევრორეგულარის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ

შემთხვევაში, თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი ევრორეგულარის ნომინალური ღირებულების (Cnom) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი ევრორეგულარის ნომინალური ღირებულების (Cnom) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი ევრორეგულარის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C1 უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი ევრორეგულარის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

მაგალითი: მიმდინარე თვე არის მარტი, საანგარიშო თვე არის თებერვალი, ხოლო საანგარიშო თვის წინა თვე არის იანვარი. შესაბამისად, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში თებერვლის თვეში ერთი ლიტრის საშუალო ფასი იანვრის ანალოგიურ ფასთან მიმართებაში შემცირებულია 10%–ზე მეტით, მაშინ მარტის თვის C1 უნდა იყოს თებერვლის თვის საშუალო არითმეტიკულ ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. საანგარიშსწორებო ფასი გამოქვეყნდება მიმწოდებლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

4.6 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრული A, P და R და საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი ევრორეგულარის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C1). ზემოაღნიშნული ფასი დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4.7 მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია 2.2 პუნქტით განსაზღვრულ საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი „ევრორეგულარის“ მარკის საწვავის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი ევრორეგულარის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2020@spa.gov.ge

4.8 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.6 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული საანგარიშსწორებო ფასით.

4.9 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საწვავის ფასთან დაკავშირებით წარმოდგენილი, ასევე მის ვებ-გვერდზე განთავსებული, ნებისმიერი ინფორმაციის სისწორეზე.

4.10 გარდა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა, მიმწოდებელი ვალდებულია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ავტოგასამართი სადგურებიდან საწვავის გაცემა განახორციელოს „აგაი“ სისტემის მეშვეობით. „აგაი“ სისტემა უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის (შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომელშიც უნდა განხორციელდეს „აგაი“ სისტემის მეშვეობით საწვავის ჩასხმა) საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას.

4.11 მიმწოდებელი ვალდებულია საწვავის გაცემა განახორციელოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც „აგაი“ სისტემის მეშვეობით განხორციელდება ავტორიზებული ავტომანქანის იდენტიფიცირება.

4.12 „აგაი“ სისტემის დამონტაჟებამდე, ევრორეგულარის მიწოდება უნდა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების მეშვეობით, მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადებიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია ბარათებით. „აგაი“ სისტემის დანერგვის შემდგომ, „ევრორეგულარის“ მარკის საწვავის მიწოდება განახორციელოს აღნიშნული სისტემის მეშვეობით, გარდა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის აგაი სისტემის გარეშე შესყიდვაზე სატენდერო კომისიის შესაბამისი ნებართვის წარდგენის შემთხვევებისა. საწვავის მიღება განხორციელდება ხელშეკრულების №3 დანართით განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე ან/და ნავთობბაზებზე.

4.13 აგაი სისტემის გარეშე საწვავის შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობის საფუძველზე, შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებში.

4.14 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველი ორგანიზაციის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე „აგაი“ სისტემის კომპონენტის მონტაჟი განახორციელოს ისე, რომ შეუძლებელი იყოს მისი მოხსნა/დემონტაჟი. დაუშვებელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის თანხმობის გარეშე განახორციელოს „აგაი“ სისტემის კომპონენტის დემონტაჟი ან/და რაიმე სახის ზემოქმედება. აღნიშნულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზრაურება განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

4.15 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი „ევრორეგულარის“ მარკის საწვავის მოცულობა, ერთი ლიტრი ევრორეგულარის ფასი, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

4.16 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საწვავის ღირებულებასთან დაკავშირებით მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

4.17 საწვავის ადგილზე (სითხის სახით) მიწოდება განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებულ მისამართზე ტრანსპორტირების გზით. საწვავის ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულების გადახდა ეკისრება მიმწოდებელს. ამასთან, თითოეულ შეკვეთაზე მისაწოდებელი საწვავის რაოდენობა არ უნდა იყოს 3000 (სამი ათასი) ლიტრზე ნაკლები, თუ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4.18 შემსყიდველის წერილობითი შეკვეთიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - ,,ენსაფ“) მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით, ასევე ელექტრონულად მოახდინოს ,,ენსაფ“-ის დადასტურება არაუგვიანეს მისი ელექტრონულად გამოწერის დღისა, რის

შემდეგაც განხორციელდება საწვავის ადგილზე (სითხის სახით) ტრანსპორტირება და შემსყიდველისათვის მიწოდება/გადაცემა. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მერ ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან ,,ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არ აქვსს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოხსენებულ ,,ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

4.19 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს 4.18 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში ,,ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება ცალმხრივად გაუუქმოს შესაბამისი საწვავის შეკვეთა და მოსთხოვოს შემსყიდველს ახალი მოთხოვნის წარმოდგენა, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიმწოდებლის მიერ რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად ან შეუსრულებლობად.

4.20 საწვავის სითხის სახით ყოველი მიწოდების შესახებ შემსყიდველი წინასწარ (არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე) აცნობებს მიმწოდებელს და მიუთითებს მისაწოდებელი საწვავის რაოდენობას საწვავის მიწოდებისთანავე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელიც წარმოადგენს საწვავის გადაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4.21. „ევრორეგულარის" მარკის საწვავის მიწოდება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ არაუადრეს 2020 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1. მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C2) მიხედვით, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. საანგარიშსწორებო ფასი გამოქვეყნდება მიმწოდებლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

5.2. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშწორების პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ის შესაბამისად.

5.3. ანგარიშსწორებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

5.3.1. ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (შემდგომში - „აგაი" სისტემის) ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით ევრორეგულარის შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას ელექტრონული ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებულ ევრორეგულარზე. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი ევრორეგულარის ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (CAV).

მაგალითი: თუ (CAV)-0.15≥C1, საანგარიშსწორებო ფასი უდრის თვის დასაწყისში დადგენილ სახელშეკრულებო ფასს (C1), ხოლო თუ (CAV)-0.15<C1, მაშინ საანგარიშსწორებო ფასი უდრის ((CAV)-0.15) ტოლ სიდიდეს.

5.3.2. არასაბარათე (ტალონის) სისტემით ევრორეგულარის შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს თითოეულ ჯერზე გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ელექტრონული ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას, საწვავის გატანის დღეს. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს ტალონის გატანის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები.

5.4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს იგი ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. არასაბარათე (ტალონი), საბარათე და „აგაი“ სისტემის მეშვეობით ევრორეგულარის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ელექტრონული ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5.5. საანგარიშსწორებო ფასის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოება: ევრორეგულარის შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს თითოეულ ჯერზე გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ანგარიშ- ფაქტურას, საწვავის გატანის დღეს. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს საწვავის გატანის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე (CR) მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული საანგარიშსწორებო ფასით.

5.7. 2020 წლის დეკემბრის განმავლობაში მიწოდებულ საწვავზე ანგარიშსწორება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 2021 წლის იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლებება - მოვალეობები

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.1.1. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში ავტოგასამართი სადგურებიდან „ევრორეგულარის“ მარკის საწვავის გაცემა განახორციელოს მხოლოდ „აგაი“ სისტემის მეშვეობით, გარდა შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. „აგაი“ სისტემა უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტისა და ავტორიზებული ავტომანქანის (შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე მყოფი ავტომანქანა, რომელიც უნდა აღიჭურვოს "აგაი" სისტემის კომპონენტებით) საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებასა და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე „ევორეგულარის“ მარკის საწვავის ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

6.1.2. უზრუნველყოს 2020 წლის 1-ლი იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ, არაუგვიანეს 2020 წლის 1 - ლი აპრილისა, შემსყიდველი ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი, შესაბამისი დანართით განსაზღვრული ავტომანქანების (ავტორიზებული ავტომანქანების) აღჭურვა „აგაი“ სისტემით.

6.1.3. იმ შემთხვევაში, თუ ევრორეგულარის 2020 წლის კონსოლიოდირებულ ტენდერში გაიმარჯვა ევრორეგულარის 2019 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა, რომელიც ზემოაღნიშნული წლის განმავლობაში ევრორეგულარის მიწოდებას ახორციელებდა ,,აგაი“ სისტემის მეშვეობით, ასეთი მიმწოდებელი ვალდებულია 2020 წლის 1-ლი იანვრიდან, ევრორეგულარის მიწოდება განახორციელოს 2019 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ 2020 წლის ფარგლებში დაემატა აგაი სისტემით აღსაჭურვი ავტომანქანების რაოდენობა, ყველა მათგანი აღჭურვოს, არაუგვიანს 2020 წლის 31 იანვრისა, შემსყიდველი ორგანიზაციის განაცხადის საფუძველზე.

6.1.4. იმ შემთხვევაში, თუ ევრორეგულარის 2020 წლის კონსოლიოდირებულ ტენდერში გაიმარჯვა ევრორეგულარის 2017/2018 წლების კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა, რომელიც ზემოაღნიშნულ წლებში ევრორეგულარის მიწოდებას ახორციელებდა აგაი სისტემის მეშვეობით, ასეთი მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ავტორიზებული ავტომანაქანების აღჭურვა არაუგვიანეს 2020 წლის 15 თებერვლისა.

6.1.5. შემსყიდველი ორგანიზაციისაგან შესაბამისი წერილობითი განაცხადის მიღების შემდეგ, ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობიდან გამომდინარე, გონივრულ ვადაში, უსასყიდლოდ აღჭურვოს შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა ავტორიზებული ავტომანქანა „აგაი“ სისტემით.

6.1.6. აგაი სისტემის მონტაჟისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, არ შეაფერხოს აღნიშნული პროცესი.

6.1.7. აგაი სისტემის კომპონენტების მონტაჟის ან/და დემონტაჟის პროცესის რაიმე მიზეზით შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სატენდერო კომისიას.

6.1.8. არაუგვიანეს 2021 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით მოახდინოს შემსყიდველის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული აგაი სისტემის კომპონენტების დემონტაჟი.

6.1.9. შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენისთანავე ან „აგაი“ სისტემის შემთხვევაში – ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

6.1.10. საწვავის აგაი სისტემის, ნომრიანი/უნომრო პლასტიკური ბარათების და ტალონების მეშვეობით ჩასხმის შესაბამისი პროცედურის დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სატენდერო კომისიას.

6.1.11. წარუდგინოს ანგარიშ-ფაქტურა შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით დადგენილ ვადებში.

6.1.12. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

6.1.13. უზრუნველყოს შემსყიდველთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ამ სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

6.1.14. არ განახორციელოს საწვავის შემსყიდველისათვის მიწოდება აგაი სისტემის გარეშე, შემსყიდველის მიერ სატენდერო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვის წარდგენის გარეშე.

6.1.15. გაუფორმოს ევრორეგულარის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ყველა იმ შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც წერილობით მიმართავს მას შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებაზე, შემსყიდველის წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში და უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო რაოდენობის საწვავის მიწოდება, ერთჯერადად ან ეტაპობრივად, შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებიდან გამომდინარე.

6.1.16. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენისთანავე ან „აგაი“ სისტემის შემთხვევაში - ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.2.1 .შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ 5.4 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

6.2.2. მოსთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

6.2.3. უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია:

6.3.1. შემსყიდველი ორგანიზაციის ავტოპარკის შემადგენლობაში სანომრე ნიშნების ან სხვა რაიმე ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს, რათა მიმწოდებელმა დროულად უზრუნველყოს აგაი სისტემასთან ან პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებები.

6.3.2. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ტიპის საწვავის 2020 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად არ გამოვლინდა 2019 წლის შესაბამისი ტიპის საწვავის ტენდერში გამარჯვებული კომპანია, 2020 წლის 1-ლი იანვრიდან მიმწოდებელთან წინასწარ შეთანხმებულ გონივრულ ვადაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი“ სისტემის კომპონენტის მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით.

6.3.3. აგაი სისტემის კომპონენტების შემსყიდველი ორგანიზაციის ბრალეულობით დაზიანების შემთხვევაში ან მიმწოდებლისათვის უკან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს აუნაზღაუროს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

6.3.4. ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა, მიმწოდებელს წერილობით წარუდგინოს ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა, რომელშიც უნდა ჩაისხას ევრორეგულარის მარკის საწვავი, თითოეულ ავტომანქანაზე დაწესებული ლიმიტი და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი.

6.3.5. ავტოპარკის შემადგენლობაში რაიმე ცვლილების, ან სანომრე ნიშნების ცვლილების შემეთხვევაში, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მიმწოდებელს, რათა მიმწოდებელმა დროულად უზრუნველყოს აგაი სისტემასთან ან პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებები

6.3.6. აგაი სისტემის კომპონენტების მონტაჟის ან/და დემონტაჟის პროცესის რაიმე მიზეზით შეფერხების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს სატენდერო კომისიას.

6.3.7. აგაი სისტემის მონტაჟისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დროულად მიმართოს მიმწოდებელს აგაი სისტემის დამონტაჟებისა და დემონტაჟის მოთხოვნით.

6.3.8. უზრუნველყოს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება 5.4 პუნქტით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად.

6.3.9. სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე.

6.3.10. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

6.3.11. შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

6.3.12. საწვავის აგაი სისტემის გარეშე შესყიდვის შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებელს სატენდერო კომისიის მიერ გაცემული შესაბამისი ნებართვა.

6.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

6.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

6.4.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმართოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

6.4.3. ჩაატაროს შემოწმება/კონტროლი (ლაბორატორიული კვლევა ან უფლებამოსილი სპეციალისტის/ექსპერტის დასკვნა) მიწოდებელი საქონლის ხარისხის სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის საქონლის მიწოდების, ხარვეზის აღმოფხვრის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს (ხოლო ასეთი, მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს) პირგასამტეხლო - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

7.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები

8.1. იმ შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ღირებულება აღემატება 200 000 (ორასი ათას) ლარს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო (გარანტიით გათვალისწინებული თანხა შემსყიდველმა უნდა მიიღოს ყოველგვარი

დამატებითი განმარტებებისა და მტკიცებულებების წარდგენის გარეშე, პირველი მოთხოვნისთანავე) გამოუთხოვადი საბანკო გარანტია, გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან/და სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური"-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, - ეროვნულ ვალუტაში. რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვრებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან მინიმუმ 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის საგარანტიო ვალდებულებები სრულად შესრულდება 2020 წლის დეკემბერი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დაუბრუნის ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

8.2. ხელშეკრულების შესრულების გარანტია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.3. ხელშეკრულების უზრუნველყოფის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2% ის ოდენობით.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს საბანკო გარანტია ან/და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში.

8.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნიდან 14 დღის განმავლობაში დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

8.6. წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ მცირდება მიმწიდობლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროპორციულად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბერი ჩათვლით.

10. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი ან მსგავსი მოვლენა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო შეწყვიტენ წინამდებარე ხელშეკრულებას, მათ არ აქვთ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

11.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებულ უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. კონტროლის განმახორციელებელ კომისიას/საამისოდ უფლებამოსილ პირს, ნებისმიერ დროს შეუძლია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესრულების ინსპექტირება.

12.2. კონტროლისას ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, კონტროლის განმახორციელებელმა კომისიამ/საამისოდ უფლებამოსილმა პირმა უნდა შეადგინოს შემოწმების აქტი.

12.3. ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან/და სატელეფონო შეტყობინებით აცნობოს მიმწოდებელს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ და მოსთხოვოს აღნიშნულის გამოსწორება ან შეცვლა.

12.4. აქტის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მოწოდებული საქონლის ექსპერტიზა.

12.5. გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა, ცვლილებების შეტანა

13.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

13.2. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი ევრორეგულარის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) ევრორეგულარის საორიენტაციო მოცულობაზე.

13.3. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესასყიდი (დარჩენილი) საქონლის ღირებულების 5% ოდენობით.

13.4. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება:

13.4.1. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.5.წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

13.5.1. ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, სატენდერო კომისიის რეკომენდაციით.

13.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულების შესრულებისაგან.

13.7. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას, მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სახვადასხაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. კონფიდენციალურობა

15.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საკუთრებას, არ გახადონ მესამე პირთათვის ცნობილი ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად.

15.2 ვალდებულება კონფიდენციალურობის შესახებ ძალაში რჩება ხელშეკრულების დამთავრების შემდეგაც.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

დანართი №1

2020 წლის “28”იანვარი” # 01–05/07

#	*საქონლის დასახელება*	*საქონლის ძირითადი მახასიათებლები*	*წარმოშობის ქვეყანა*	*საორიენტაციო რაოდენობა*	*ერთეულის ფასი*	*საერთო საორიენტაციო ღირებულება*	*მიწოდების ადგილი*	*მიწოდების ვადები*
1	ევრო რეგულარი	*ოქტანობა (არანაკლებ 92)*	რუსეთი	135,74	2,21	300	*ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვი*	2020 წლის 28 იანვრიდან-დან 2020 წლის 31 დეკემბრისჩათვლით

დანართი №2

ავტომანქანების მონაცემები და საწვავის ლიმიტები (ლიმიტების მოცულობა საორიენტაციო ხასიათს ატარებს და შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული წესით, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით და არ საჭიროებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას)

დანართი №3

ავტოგასამართი სადგურები :

ქ.თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო :

1. „ფორტუნა“- თბილისი ვაკე-საბურთალო / აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ;

2. „ბოტანიკა“- დიდუბე ვაკე-საბურთალო / საქართველოს სამხედრო გზა ბოტანიკის ინსტ.მოპ;

3. „ბელიაშვილი 1“- თბილისი დიდუბე-ჩუღურეთი / ბელიაშვილის ქ. მიონის მიმდ. ტერ;

4. „გელოვანი 1“ - თბილისი ვაკე-საბურთალო / გელოვანის სოფლის სამ. მოპირდაპირედ;

5. „ვახუშტი“- თბილისი დიდუბე-ჩუღურეთი / ხოშარაულის, ელიავას. მტკ. მარც. სან. და ვახუშტის ხიდს შორის;

6. „თამარაშვილი“- თბილისი ვაკე-საბურთალო / თამარაშვილის 12;

7. „საბურთალო“- თბილისის საბურთალოს რაიონი / საბურთალოს ქ. 18;

8. „სანაპირო 1“- თბილისის საბურთალოს რაიონი / მტკვრის მარჯვენა სანაპირო ;

9. „გულია“- თბილისი / გულიას 12;

10. „ქავთარაძე“ - თბილისი ვაკე-საბურთალო / ქავთარაძის 19

ქ.თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო :

11. „ლილო“ - თბილისი ისანი-სამგორი / კახეთის გზატკეცილი

12. „აეროპორტი 1“- თბილისი ისანი-სამგორი / კახეთის გზატკეცილი #44762 ს/ნ;

13. „აეროპორტი 2“- თბილისი ისანი-სამგორი / სავაჭრო საბითუმო ბაზა ცეკავშირის მიმდ.ტერ;

14. „დიდუბე“ თბილისი დიდუბე-ჩუღურეთი / მტკვრის მარცხენა სანაპირო გუდაუთის ქ. კვეთაზე;

15. ,,ალიგატორი'' - თბილისი ისანი-სამგორი / რიტუალების სასახლის მიმდ.;

16. „გურამიშვილი 1“- თბილისი გლდანი-ნაძალადევი / გურამიშვილის გამზ. 84;

17. „გურამიშვილი 2“- თბილისი გლდანი-ნაძალადევი / გურამიშვილის გამზ.N15(01.12.09.021/114);

18. „თბილისის ზღვა“ - თბილისი გლდანი-ნაძალადევი / თბილისის ზღვა 01.12.21.001.108;

19. „კახეთის გზატკეცილი 1 “- თბილისი ისანი-სამგორი / კახეთის გზატკეცილი 44-ისმოპირ.;

20. „სანაპირო 2“ - თბილისი გლდანი-ნაძალადევი / ქსნის ქ. (არ მისული დიდუბის ხიდთან);

21. „შეშელიძე 1“- თბილისის გლდანის რაიონი / სარაჯიშვილის ქ.;

22. „შეშელიძე 2“ - თბილისის გლდანის რაიონი / თ.შეშელიძის 34;

ქვემო ქართლი :

23. „რუსთავი კომპლექსი “- თბილისი, წითელი ხიდის გზატკეცილი მე-19 კმ;

24. „გარდაბანი“- გარდაბანი, აღმაშენებელის ქ. თბილსრესის მოედნის მ/ტ

25. „რუსთავი ცენტრი“- რუსთავი, შარტავას გამზირი;

26. „თელეთი“- გარდაბმის რაიონი, სოფელი წალასყური;

27. ,,ბოლნისი'' - ბოლნისის რ-ნი, ქალაქი ბოლნისი;

28. “დმანისი“- დმანისის რ-ნი, შემოსასვლელი მონუმენტის მიმდებარე ;

29. „მარნეული“ - მარნეული ქუჩა რუსთაველი;

30. „ფახრალო“- ბოლნისის რ-ნი სოფელი სავანეთი;

31. „შულავერი“- მარნეული, ქვემო სარალი;

32. „სადახლო“- მარნეულის რაიონი, სადახლო;

33. „მარტყოფი-თბ. შემოვლითი'' - გარდაბანი, სოფელი მარტყოფი;

კახეთი :

34. „ჩალაუბანი“- სოფ.ჩალაუბანი;

35. „ყვარელი“- ყვარელი;

36. „საგარეჯო“- კახეთის გზატ.N14;

37. „იორმუღანლო“ - სოფ. იორმუღანლო;

38. „გომბორი“- ვარდისუბანი (გომბორის მიმართ);

39. „ვარდისუბანი“- ვარდისუბანი(ახმეტის მიმართ);

40. „კაბალი“ სოფ.კაბალი და სოფ.დონას კვეთა;

41. „ახმეტა“- რუსთაველის ქუჩა;

42. „დედოფლისწყარო“- დედოფლისწაროს, რუსთაველის #1;

რაჭა-იმერეთი:

43. “ზესტაფონი“- ზესტაფონი, სტაროსელსკი #16;

44. „ხარაგაული“- ხარაგაული, სოლომონ მეფის #86;

45. „იანეთი“- სამტრედიის რ/ნი სოფ.იანეთი;

46. „ქუთაისი 1“- ქ.ქუთაისი. ფხაკაძის #16;

47. „ნიკეა“- ქუთაისი, ნიკეას #8;

48. „ტყიბული“ - ტყიბული, ტყვარჩელის #17;

49. ,,ამბროლაური'' - ამბროლაური, ვაჟა ფშაველას ქუჩა;

50. ,,ჭიათურა 1“ - ჭიათურა, აბაშიძის #15 ;

51. „დაფნარი“- სამტრედიის რ/ნი სოფ.დაფნარი;

აჭარა:

52. „ბარცხანა“- ბათუმი, თამარ მეფის გამზირი;

53. „გონიო“- გონიო, ანდრია პირველწოდებულის ქ 8 ;

54. „მაკდონალდსი“- ბათუმი, მაკდონალდსი, ხიმშიაშვილის ქ;

55. „ქედა“- ქედა, ცხემნა;

56. „ხელვაჩაური“- ხელვაჩაური ,ფრიდონ ხალვაშის გამზ. 144;

57. „ანგისა“- ქ.ბათუმი, ანგისას დასახლება;

58. „ბაგრატიონი“- ჰ.აბაშიძის ქ# 91 (ყოფილი ბაგრატიონის ქ);

59. „ქობულეთი“- ქობულეთი რუსთაველის ქ 109

ქართლი-ახალციხე:

60. „გორი“- ცხინვალის გზატკეცილი N8;

61. „ხაშური“- ხაშური, იმერეთის ქ. N36;

62. „ბორჯომი“- ბორჯომი, აღმაშენებლის. ქ;

63. „ურბნისი“- ქარელის რ. სოფ. ურბნისი;

64. „ახალციხე''- აბასტუმანის გზატკეცილი;

65. „ბაკურიანი“- ბორჯომის ქ. N55

მცხეთა-მთიანეთი:

66. სტეფანწმინდა - ყაზბეგის რაიონი / დაბა სტეფანწმინდა 740111056

გურია-სამეგრელო-სვანეთი:

67. „ლანჩხუთი“- ლანჩხუთი, სოფ. გვიმბალაური, აღმაშენებლის ხეივანი

68. „ჩოხატაური“- ჩოხატაური, დუმბაძის №41 ;

69. „ოზურგეთი“- ოზურგეთი, თაყაიშვილის ქუჩა 48;

70. „ფოთი 3 “- ფოთი, ლარნაკას ქ;

71. „ზუგდიდი 1“- სოფ . ჭითაწყარი ;

72. „სენაკი 1“ - ღვინჯილიას ქ # 4 ;

73. „ჯვარი“- წალენჯიხის რაიონი, დაბა ჯვარი, ანდრია პირველწოდებულის #85;

74. „ზუგდიდი 2 (ინგირი)“- სოფ. ინგირი.

ნავთობბაზები :

1. ქ.თბილისი, ქიზიყის ქუჩა # 19-21-23 ;

2. ქუთაისი, ორახელაშვილის ქ;

3. სამტრედია, ბახტაძის ჩიხი 1, #23

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

დასახელება: სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულის საჯარო სკოლა
მის: ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი დანისპარაული
ს/კ: 248058211
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: **GE92BG0000000265984600**
ტელ: 591 71-82-72

ხელმძღვანელი პირი
ბადრი გელაძე

მიმწოდებელი:

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“
მის.: ქ.თბილისი, 300 არაგველის 24
საიდენტიფიკაცო კოდი:202352514
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600
ტელ.: 249 97 57

მინდობილი პირი

დავით თეთვაძე

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM

Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2020.01.28 17:11:29 +04'00'